შეფასების სქემა მასწავლებელთა გამოცდის მე-7 დავალებისთვის (წერილი)
მაქსიმალური ქულა – 6. მოთხოვნილი დონე B2.

ქულა	აღწერა
6	ნაწერი **ძალიან კარგია**. ამომწურავად პასუხობს დავალების მოთხოვნებს*. გამოყენებულია მრავალფეროვანი გრამატიკული სტრუქტურები და მდიდარი ლექსიკა; სრულად არის დაცული წერილის **ფორმატი*** და ოფიციალური ენის **სტილი***. შეცდომები არ არის, ან მინიმალურია. არგუმენტირება ძალიან კარგია.
5	ნაწერი **კარგია.** პასუხობს დავალების მოთხოვნებს. გამოყენებულია კარგი გრამატიკული სტრუქტურები და ლექსიკა; ძირითადად დაცულია წერილის **ფორმატი*** და ოფიციალური ენის **სტილი***; შეცდომები უმნიშვნელოა. არგუმენტირება კარგია.
4	ნაწერი **საშუალო დონისაა**. ძირითადად პასუხობს დავალების მოთხოვნებს, თუმცა ერთ- ერთი პასუხი არასრული ან მოკლეა. გამოყენებულია საშუალო სირთულის გრამატიკული სტრუქტურები და ლექსიკა; წერილის **ფორმატი** და ოფიციალური ენის **სტილი** თანმიმდევრული არ არის; შეცდომები ცოტაა. ან: <u>გაცემულია პასუხი მხოლოდ ერთ შეკითხვაზე.</u>
3	ნაწერი **საშუალოზე დაბალი დონისაა.** დავალების მოთხოვნებს ზოგ შემთხვევაში არ პასუხობს (მოცემულია არასრული და/ან ზედმეტი ინფორმაცია). გამოყენებულია მარტივი გრამატიკული სტრუქტურები და ლექსიკა; წერილის ფორმატი და ოფიციალური ენის სტილი, ზოგ შემთხვევაში, არ არის დაცული; შეცდომები თვალშისაცემია. ან: ხშირია ზოგადი დაზეპირებული ფრაზები. არგუმენტირება სუსტია.
2	ნაწერი **სუსტია**. დავალების მოთხოვნებს, უმეტესწილად, არ პასუხობს (მოცემულია ძალიან მწირი და/ან ბევრი ზედმეტი ინფორმაცია). გრამატიკა და ლექსიკა მეტად მარტივი და ერთფეროვანია; ლოგიკურ-სტრუქტურული მაკავშირებლები არ არის. წერილის ფორმატი და ოფიციალური ენის სტილი, უმეტესწილად, არ არის დაცული; შეცდომები ხშირია (შეცდომები დაშვებულია სკოლის პროგრამით გათვალისწინებულ გრამატიკულ კატეგორიებში). .ან: ენობრივად კარგია, მაგრამ დავალების მოთხოვნებს, უმეტესწილად, არ პასუხობს. ან: წერილის ძირითადი ნაწილი არის ზოგადი, დაზეპირებული ტექსტი, ყოველგვარი კონკრეტიკის გარეშე. შეიძლება წავიდეს ნებისმიერი სახის დავალებაზე. დავალების მოთხოვნა ნახსენებია ფრაგმეტულად: მხოლოდ დასაწყისში და/ან ბოლოში.
1	ნაწერი **ძალიან სუსტია** და/ან დაწერილია მხოლოდ 1-2 წინადადება და/ან შეცდომები დაშვებულია ყოველ წინადადებაში; აზრი ბუნდოვანია. ლექსიკურ და გრამატიკული შეცდომებს სისტემური ხასიათი აქვს. არ არის დაცული ოფიციალური სტილი. ან: წერილის ძირითადი ნაწილი არის ზოგადი და დაზეპირებული, ყოველგვარი კონკრეტიკის გარეშე. ტექსტი შეიძლება წავიდეს ნებისმიერი სახის დავალებაზე. დავალების მოთხოვნა ნახსენებია მხოლოდ ერთხელ, ან საერთოდ არ არის ნახსენები.
0	ნაწერი არ პასუხობს დავალებას ან ფურცელი ცარიელია ან აზრის გაგება შეუძლებელია. ან: მითითებულია სახელი და გვარი.